განათლება მდგრადი განვითარებისათვის

მაია ბლიაძე

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გეოგრაფიის ექსპერტ-კონსულტანტი,
გეოგრაფიის დოქტორი,
ევროპის და ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი

რა არის განათლება მდგრადი განვითარებისათვის?

განათლება - ყველაზე ძლიერი იარაღია, რომელიც სამყაროს გარდაქმნისთვის შეიძლება გამოიყენო.

ნელსონ მანდელა

ვიდეო: მდგრადი განვითარება განათლებით იწყება

https://www.youtube.com/watch?v=FNuaykBosJ4



რას ნიშნავს განათლება მდგრადი განვითარებისათვის?

- მდგრადი განვითარების გზაზე დადგომა მოითხოვს რადიკალურ ცვლილებებს ჩვენს აზროვნებასა და ქმედებებში.
- უფრო მდგრადი მსოფლიოს შექმნის მიზნით და მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული იმ პრობლემების მოგვარების საქმეში მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად, რომლებიც მდგრადი განვითარების მიზნებშია ჩამოყალიბებული, აუცილებელია თითოეული ადამიანის მონაწილეობა მდგრადი განვითარებისათვის საჭირო ცვლილებების განხორციელებაში.

რას ნიშნავს განათლება მდგრადი განვითარებისათვის?

- განათლება მდგრადი განვითარებისათვის – მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის ძირითადი ინსტრუმენტია.
- ადამიანები უნდა ფლობდნენ ცოდნას, უნარებს, ღირებულებებსა და დამოკიდებულებებს, იმისათვის რომ შეძლონ საკუთარი წვლილი შეიტანონ მდგრად განვითარებაში.

რა არის განათლება მდგრადი განვითარების მიზნები?

- მდგრადი განვითარებისათვის განათლება მიზნია იმ კომპეტენციების განვითარება, რომლებიც საშუალებას მისცემს ინდივიდუალურ პირებს გააცნობიერონ და გაანალიზონ საკუთარი ქმედებები, გაითვალისწინონ ის სოციალური, კულტურული, ეკონომიკური შედეგები, რომლებიც მომავალში შეიძლება მოჰყვეს მათ ქმედებებს, და ის, თუ რა ზემოქმედება შეიძლება იქონიოს მათ მიერ განხორციელებულმა ქმედებებმა გარემოზე, როგორც ადგილობრივი, ასევე გლობალური პერსპექტივით.

რა მოიაზრება განათლება მდგრადი განვითარებაში?

- განათლება მდგრადი განვითარებისთვის სწავლება გულისხმობს ჰოლისტიკური სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც მიზნად ისახავს ახლანდელი და მომავალი თაობებისთვის უკეთესი სამყაროს შექმნას.
- ადამიანებს ღრმა ბავშვობიდანვე უნდა მიეცეთ შესაძლებლობა მიიღონ ცოდნა, უნარები, შეხედულებები და ღირებულებები, რომლებიც მდგრადი მომავლის შექმნისთვისაა აუცილებელი (Nayar, 2013).
- მოსწავლეებს ინფორმაცია იმგვარად უნდა მიეწოდოთ, რომ მათ მარტივად შეძლონ თეორიულად მიღებული ინფორმაციის პრაქტიკაში დანერგვა და მათი ძირითადი ხედვის მდგრადი განვითარებისკენ მომართვა.

რა მოიაზრება განათლება მდგრადი განვითარებაში?

- განათლება მდგრადი განვითარებისათვის მოითხოვს:

✓ სწავლებიდან სწავლაზე გადასვლას

✓ქმედებაზე ორიენტირებას

✓რეალური ცვლილებების მომტანი მეთოდების ე.წ. ტრანსფორმაციული პედაგოგიკის გამოყენებას.



რა მოიაზრება განათლება მდგრადი განვითარებაში?

ასეთი მიდგომა ხელს უწყობს უწყობს და ახალისებს:

- ✓სწავლის პროცესის თვითორგანიზებას
- ✓მონაწილეობასა და თანამშრომლობას
- ✓პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებას
- ✓დისციპლინათაშორისი და ტრანსდისციპლინარული თემების განხილვა
- ✓ ფორმალური და არაფორმალური სწავლის გარემოთა შერწყმას.
- მხოლოდ ამგვარი პედაგოგიური მიდგომებით არის შესაძლებელი იმ ძირითადი კომპეტენციების დაუფლება, რომლებიც აუცილებელია მდგრადი განვითარების ხელშეწყობისთვის.

განათლება მდგრადი განვითარებისათვის მნიშვნელობა

- მდგრადი განვითარებისათვის განათლებას აქვს კონკრეტული **შემეცნებითი, სოციალურ-ფსიქოლოგიური და ქცევითი სწავლის შედეგები,** რაც ადამიანებს საშუალებას აძლევს გაუმკლავდნენ კონკრეტულ გამოწვევებს, რომლებიც მდგრადი განვითარების თითოეულ მიზანს უკავშირდება, და ამგვარად, ხელი შეუწყონ ამ მიზნების შესრულებას.

მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებული სწავლის კონკრეტული ამოცანები

- **შემეცნებითი განზომილება** მოიცავს ცოდნასა და აზროვნების უნარებს, რომლებიც საჭიროა მდგრადი განვითარების მიზნებისა და მათ მიღწევასთან დაკავშირებული გამოწვევების უკეთ გასაცნობიერებლად.

- **სოციალურ-ემოციური განზომილება** მოიცავს სოციალურ უნარებს, რომლებიც საშუალებას აძლევს ინდივიდუალურ პირებს ერთმანეთთან ითანამშრომლონ, აწარმოონ მოლაპარაკებები და დაამყარონ კომუნიკაცია, მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის ხელშესაწყობად, და ასევე მოიცავს თვითშემეცნების უნარებს, ღირებულებებს, დამოკიდებულებებსა და მოტივაციას, რაც შემსწავლელებს თვითგანვითარების საშუალებას აძლევს.

- **ქცევითი განზომილება** მოიცავს ქმედებასთან დაკავშირებულ კომპეტენციებს.

განათლება მდგრადი განვითარებისათვის მნიშვნელობა

ამრიგად, მდგრადი განვითარებისათვის განათლება ყველა ინდივიდუალურ ადამიანს აძლევს საშუალებას: საკუთარი წვლილი შეიტანოს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში ხელს უწყობს რა მათ აღჭურვას იმ ცოდნითა და კომპეტენციებით, რომლებიც მათ სჭირდებათ არა მხოლოდ იმის გასაცნობიერებლად, თუ რას წარმოადგენს მდგრადი განვითარების მიზნები, არამედ იმისათვის, რომ როგორც ინფორმირებული მოქალაქეები, თითოეული მათგანი აქტიურად ჩაერთოს საჭირო ცვლილებების გახორციელების საქმეში.

როგორ ვასწავლოთ განათლება მდგრადი განვითარებისთვის?

- განათლება მდგრადი განვითარებისათვის მუდმივი შემეცნებისა და სწავლების პროცესია.
- მასწავლებლები მუდამ მზად უნდა იყვნენ გადახედონ და ხელახლა გაიაზრონ ადრე არსებული და დამკვიდრებული შეხედულებები, რომელთა საპასუხოდ მსოფლიოში ხდება და კვლავაც მოხდება ცვლილებები.

რა შეუძლია მასწავლებელს?

- მასწავლებლების წინაშე 4 ძირითადი ამოცანა დგას:

1. დაეხმაროს მოსწავლეებს შეიმეცნონ, თუ რატომაა მდგრადი განვითარების მნიშვნელობის გააზრება საჭირო და აუცილებელი;

2. აქტიურად ჩართონ მოსწავლეები მდგრადი განვითარების პრობლემების განხილვაში;

3. ასწავლონ როგორ უნდა შეძლონ პრობლემების სხვადასხვა რაკურსით განხილვა;

4. ასწავლონ და წაახალისონ მოსწავლეები, რომ მდგრადი განვითარების პრობლემებზე იფიქრონ არა მხოლოდ საკლასო ოთახში, არამედ ფორმალური განათლების სისტემის გარეთაც;

რა უნდა გაკეთდეს განათლება მდგრადი განვითარებისთვის?

- მდგრადი განვითარების საკითხები ჩაშენდეს სწავლების ნებისმიერი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში (კურიკულუმში) ინტერდისციპლინარული და ჰოლისტიკური მიდგომით;
- გათვლილი უნდა იყოს მოსწავლეთა აზროვნების განვითარებაზე, რათა შეძლონ მათ წინაშე წამოჭრილი ეკონომიკური, სოციალური თუ გარემოსდაცვითი პრობლემების აღმოჩენა, გადაჭრის გზების ძიება და მოქმედება;

რა უნდა გაკეთდეს განათლება მდგრადი განვითარებისთვის?

- სხვადასხვა სასწავლო აქტივობებით, მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებებით, დებატების, კონფერენციებით, სასწავლო დისციპლინების ინტეგრირებით გამრავალფეროვნდეს სწავლების პროცესი;
- მორგებული იყოს ადგილობრივ ინტერესებს და ითვალისწინებდეს ზოგადსაკაცობრიო ხედვებს;
- რაც მთავარია, ორიენტირებული უნდა იყოს გრძელვადიან მომავალზე.

სწავლის ამოცანები მასწავლებლებისათვის მდგრადი განვითარებისათვის განათლების ხელშეწყობისათვის

- ფლობს ცოდნას მდგრადი განვითარების შესახებ, მდგრადი განვითარების სხვადასხვა მიზნებისა და მათთან დაკავშირებული თემებისა და პრობლემების შესახებ;
- აყალიბებს ერთიან ხედვას მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების და გამოწვევების შესახებ, მდგრადი განვითარების პრინციპებისა და ღირებულებებთან ასოცირებული სოციალური, ეკოლოგიური, ეკონომიკური და კულტურული განზომილებების გათვალისწინებით, თაობათა შორის სამართლიანობისა და გლობალური სამართლიანობის ჩათვლით;

სწავლის ამოცანები მასწავლებლებისათვის, მდგრადი განვითარებისათვის განათლების ხელშეწყობისათვის

- იყენებს დისციპლინურ, ინტერდისციპლინურ და ტრანსდისციპლინურ ხედვას გლობალური მასშტაბით მიმდინარე ცვლილებებისა და ადგილობრივ გარემოზე მათ გამოვლინებებთან დაკავშირებულ საკითხებთან დაკავშირებით.
- აანალიზებს მდგრადი განვითარების კონცეფციას, მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევასთან დაკავშირებულ გამოწვევებს, მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად საკუთარი სპეციალობის მნიშვნელობასა და საკუთარი როლს ამ პროცესში;

სწავლის ამოცანები მასწავლებლებისათვის, მდგრადი განვითარებისათვის განათლების ხელშეწყობისათვის

- აანალიზებს მდგრადი განვითარების მიზნებისათვის განათლების ფორმალურ, არაფორმალურ და ფორმალურისგან განსხვავებულ ფორმებს შორის ურთიერთკავშირს და მიღებულ ცოდნას იყენებს საკუთარ პროფესიულ საქმიანობაში;
- აცნობიერებს, რომ კულტურული მრავალფეროვნება, გენდერული თანასწორობა, სოციალური სამართლიანობა, გარემოს დაცვა და პიროვნული განვითარება წარმოადგენს მდგრადი განვითარებისათვის განათლების განუყოფელ ნაწილს და ესმის როგორ შეიძლება მათი ჩართვა განათლების პროცესებში.

სწავლის ამოცანები მასწავლებლებისათვის, მდგრადი განვითარებისათვის განათლების ხელშეწყობისათვის

- იყენებს ქმედებაზე ორიენტირებულ პედაგოგიკას, რომელსაც შეუძლია ჭეშმარიტი ცვლილების მოტანა, მოსწავლეების ჩართვა მონაწილეობითი, სისტემური, შემოქმედებითი და ინოვაციური აზროვნებისა და მოქმედების პროცესებში, ადგილობრივი თემებისა და მოსწავლეების ყოველდღიური ცხოვრების კონტექსტში;
- შეუძლია იმოქმედოს როგორც ცვლილების შემოქმედმა, ორგანიზაციული სწავლის პროცესში, რაც ხელს უწყობს მისი სკოლის სვლას მდგრადი განვითარების გზაზე;

სწავლის ამოცანები მასწავლებლებისათვის, მდგრადი განვითარებისათვის განათლების ხელშეწყობისათვის

- შეუძლია მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული ადგილობრივი შესაძლებლობების ამოცნობა და თანამშრომლობითი ურთიერთობების დამყარება;
- აფასებს მოსწავლეთა მიღწევებსა და განვითარებას, მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული გამჭოლი კომპეტენციების დაუფლების დონეს და მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული სწავლის კონკრეტულ შედეგებს.

მდგრადი განვითარების ძირითადი კომპეტენციები

- სისტემური აზროვნების კომპეტენცია: ურთიერთობების შეცნობისა და გააზრების შესაძლებლობა; რთული სისტემების ანალიზი; ანალიზი იმისა, თუ როგორ არის სისტემები ჩართული სხვადასხვა სფეროში და სხვადასხვა მასშტაბებით; გაურკვევლობასთან გამკლავება.

- მოვლენების განვითარების წინასწარ განჭვრეტის კომპეტენცია: მოვლენების სხვადასხვაგვარად განვითარების პერსპექტივათა - შესაძლო, მოსალოდნელ და სასურველ პერსპექტივათა გააზრებისა და შეფასების უნარი; მომავლის საკუთარი ხედვის ჩამოყალიბების უნარი; სიფრთხილის პრინციპებით ხელმძღვანელობის უნარი; ქმედებათა შედეგების შეფასების უნარი და რისკებთან გამკლავებისა და ცვლილებებთან ადაპტაციის უნარი.

მდგრადი განვითარების ძირითადი კომპეტენციები

- ნორმატიული კომპეტენცია: იმ ნორმებისა და ღირებულებების გაგება და გაცნობიერება, რომლებიც საფუძვლად უდევს ადამიანის ქმედებებს; მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ ღირებულებებზე, პრინციპებზე, მიზნებზე და ამოცანებზე მოლაპარაკების წარმოების უნარი, ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების არსებობის და დათმობაზე წასვლის აუცილებლობის გაცნობიერება, არადამაჯერებელი ცოდნისა და დაპირისპირებების კონტექსტში.

- სტრატეგიული კომპეტენცია: იმ ინოვაციურ ღონისძიებათა ერთობლივად შემუშავებისა და განხორციელების უნარი, რომლებიც ემსახურება მდგრადი განვითარების ხელშეწყობას, როგორც ადგილობრივ ასევე უფრო ფართო დონეებზე.

მდგრადი განვითარების ძირითადი კომპეტენციები

- თანამშრომლობის კომპეტენცია: სხვებისგან სწავლის უნარი; სხვათა საჭიროებების, ხედვისა და მათ მიერ გამოვლენილი ქცევების აღქმა და მათდამი პატივისცემის გამოხატვა (ემპათია); სხვათა გაგების, მათ მდგომარეობაში შესვლისა და თანაგრძნობის უნარი (ემპათია + ლიდერობა); ჯგუფში მიმდინარე კონფლიქტების მოგვარების უნარი; თანამშრომლობისა და მონაწილეობის პრინციპების გათვალისწინებით პრობლემის გადაჭრის ხელშეწყობა.

- კრიტიკული აზროვნების კომპეტენცია: ნორმების, პრაქტიკისა და მოსაზრებების კრიტიკულად გააზრების უნარი; საკუთარი ღირებულებების, აღქმისა და მოქმედებების გაანალიზების უნარი; მდგრად განვითარებასთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციის გაცნობიერების უნარი.

მდგრადი განვითარების ძირითადი კომპეტენციები

- თავდაჯერებულობის კომპეტენცია: ადგილობრივ თემსა თუ გლობალურ საზოგადოებაში საკუთარი როლის გაცნობიერების უნარი; საკუთარი მოქმედებების მუდმივი შეფასება და შემდგომი მოქმედებებისათვის მოტივაციის გამოძებნის უნარი; საკუთარი განცდების და სურვილებისა და მისწრაფებების მართვის უნარი.
- პრობლემის გადაჭრის ინტეგრირებული კომპეტენცია: მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული რთული პრობლემების გადაჭრისას სხვადასხვა ჩარჩოების გამოყენების უნარი და პრობლემის ეფექტურად, ინკლუზიურად და სამართლიანად გადაჭრის ვარიანტების შემუშავება, რომლებიც ემსახურება მდგრადი განვითარების ხელშეწყობას და ემყარება ზემოთ ჩამოთვლილი კომპეტენციების გამოყენებას.

მადლობა ყურადღებისთვის!